ტელეკომპანია კავკასიის თვითრეგულირების ორგანოს

მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ ტელეკომპანია "კავკასიის" 14 მაისის თოქ-შოუ "სპექტრში" გადაცემის წამყვანის დავით აქუბარდიას მიერ გაკეთებული განცხადებების[1] შესაბამისობა მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან. კერძოდ:

**დავით აქუბარდია, წამყვანი:** "აზერბაიჯანული ქალაქი გახდება 15-20 წელიწადში ეს ქალაქი [რუსთავი], თუ ეს არ გადავარჩინეთ... რუსთავი უნდა გადარჩეს, როგორც ქართულ ქალაქად და ეს იდეა ჩემი იდეა არ არის, ეს სტალინის იდეაა არის...

ეს უხერხული თემებია, მცოცავი ანექსიაა ეს იცი, ნელა-ნელა მოდიან, ეს ქალაქი იჭერს, თორემ აგერ ორთაჭალასთან სხვა ქვეყნის საზღვარი გვექნებოდა... შემცირდა მოსახლეობა თქვენთან, განახევრდა, პირველი სართულები ვინც იყიდეს, სუყველას აქვს ბაქოში ბინები...

წმინდა ეკონომიური დისკრიმინაცია მიდის იქ ქართველების... ორი აზერბაიჯანული ბანკი მარტო აზერბაჯანლებს აძლევს კრედიტს, რომ ბინები იყიდონ... ჩაგრავენ ქართველებს და ქართველების შემცირება ხდება... ეროსი, აქედან იწყება მერე დაკარგვა ტერიტორიების, მეტი კი არაფერი იყო - რეალური მოსახლეობის პრინციპი - კახი, ბელაქანი, ზაქათალა, ნახე რა, 20 წლის მაისის ხელშეკრულება რუსეთთან. აღიარებდნენ, იმას საქართველოს ტერიტორიად. მერე ატეხეს, რეალური მოსახლეობის პრინციპიო და წაგვართვეს. ასე წაგვართმევენ იმ რუსთავსაც, თუ არ გამოვიფხიკეთ ყურები."

ჩვენი აზრით, გადაცემის წამყვანის მხრიდან დარღვეულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე მუხლი, რადგან მისი განცხადებები აღვივებს სიძულვილს და არატოლერანტობას როგორც ეთნიკური ნიშნით საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელების, ასევე გეოგრაფიული წარმომავლობის მიხედვით, რუსთავში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ.

გადაცემის წამყვანმა ასევე დაარღვია კოდექსის 33.1 მუხლი, რომლის თანახმად, "მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან."

საგულისხმოა, რომ დავით აქუბარდია მაყურებელს სთავაზობს რამოდენიმე ფაქტობრივ გარემოებას (მაგ. აზერბაიჯანული ბანკები მხოლოდ ეთნიკური ნიშნით გასცემენ კრედიტებს)

---

[1] http://www.myvideo.ge/?video_id=2335796;
http://www.myvideo.ge/?video_id=2335798

ისე, რომ არ უთითებს ინფორმაციის არც ღია, არც დახურულ წყაროს ან სხვა რამე ფაქტობრივ მტკიცებულებას, რაც მნიშვნელოვანია ჯეროვანი სიზუსტისთვის და აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად.

ქცევის კოდექსი (მუხლი 17.2) ასევე ავალდებულებს საავტორო პროგრამის წამყვანს, არ გამოიყენოს მისი მდგომარეება საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა.

ვთვლით, რომ დავით აქუბარდიას მიერ გადაცემა სპექტრში გაკეთებული განცხადებები ქსენოფობიურია და საქართველოს მოქალაქეების ეთნიკური და გეოგრაფიული ნიშნით სეგრეგაციას უწყობს ხელს.

პატივისცემით,

სამირა ისმაილოვა

საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაცია "გატას" თავმჯდომარე

თამარ კინწურაშვილი

მედიის განვითარების ფონდის (MDF) გამგეობის თავმჯდომარე

გიორგი მშვენიერაძე

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI)

დანფუძნებელი

ეკა ჭითანავა

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI)

დირექტორი

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

სამირა ისმაილოვა, ტელ: 577161112; ელ-მისამართი: geoazstudent@gmail.com; saamir.ka@gmail.com

თამარ კინწურაშვილი, ტელ: 577447277; ელ-მისამართი: tamunaki@gmail.com

მისამართი: ილ. ჭავჭავაძის #54, მე-4 სადარბაზო, მე-5 სართული

გიორგი მშვენიერაძე, ტელ: 514005505, ელ-მისამართი: gio.mshveno@gmail.com

მისამართი: დ.გამრეკელის #2, მე-4 სართული.

ეკა ჭითანავა, ტელ: 593161444; ელ-მისამართი: echitanava@gmail.com